პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

---დეკემბერი 2025 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 22/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.132.016355) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

<u>პროექტის სახელწოდება და სათაური</u>

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და თანამდებობრივი სარგოების ზრდა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, იზრდება თანამდებობრივი სარგო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის და „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ხარჯები გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი **ირაკლი თავართქილაძე**

დანართი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგო და საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	9600
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	8000
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	7200
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	5600
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	5600
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	10	4000
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი			
7	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის უფროსი	1	5600
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შესყიდვების საკითხებში)	1	2880
9	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საბუღალტრო საკითხებში)	1	2560
10	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის საკითხებში)	1	2880
11	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში)	1	2880
12	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია)	1	2880
13	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია)	1	2880
14	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია)	1	2880
15	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია)	1	2880
16	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია)	1	2880
იურიდიული განყოფილება			
17	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4480
18	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	2	2880
19	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	1	2560
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება			
20	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4480
21	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	2880
22	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	2560
მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება			
23	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4480
24	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2880

25	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2560
	ჯამი	**46**	